ხვეულები ლიდერის გზაზე

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 18 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფთჩი” (ბაქო) 1:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

“ნეფთჩი”: მიროშნიკოვი, ყულიევი, ყულამოვი, უზბეკოვი, ნამაზოვი, ტ. აბასოვი, შიხლაროვი, რახმანოვი, ორუჯევი (სმოლნიკოვი), ყურბანოვი, ალი–ზადე (ჯავადოვი).

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გოლი გაიტანა ყიფიანმა (26 წ.).

მატჩის დასრულებიდან სულ რაღაც საათნახევრის შემდეგ ცნობილი გახდა ტურის სხვა ექვსი შეხვედრის შედეგები.

იმდენად ანგარიშგასაწევი, მნიშვნელოვანი იყო ეს ინფორმაცია, რომ თითქმის მოფიქრებული სათქმელის კონტურები როგორღაც მოიშალა და გულახდილად რომ ვთქვა, შევყოყმანდი. ცალკერძ – ძალზე ცუდად ნათამაშები მატჩით დატოვებული უკმაყოფილება, ცალკერძ – ქულები, გუნდების სატურნირო მდგომარეობა.

ციფრების, ფაქტების ძალა ცნობილია. ფაქტი კი იმას ამბობდა, რომ მეშვიდე ტურმა თბილისის “დინამო” ისევ ერთპიროვნულ ლიდერად აქცია. უახლოესი მდევარი ორი ქულით ჩამორჩა. მაგრამ საქმე მარტო ის არ იყო, რომ ჩვენმა ძირითადმა კონკურენტებმა ქულები დაკარგეს და თბილისელებმაც თითქოსდა სხვის ხარჯზე მოახერხეს დაწინაურება. “დინამომ” წლევანდელ სეზონში 11 მატჩი ითამაშა (თასზე მატჩების ჩათვლით) – რვა გამარჯვება, ორი ფრე და ერთი წაგება. დამარცხებულთა შორის არის ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი კიევის “დინამო”. ამაზე უკეთესს კაცი მართლაც ძნელად ინატრებს, მაგრამ… მიუხედავად ლიდერობისა, მიუხედავად რიგ შეხვედრებში ნაჩვენები ძალზე კარგი ფეხბურთისა, “ნეფთჩისთან” მატჩმა მაინც დაგვიტოვა საფიქრალი და, ცოტა არ იყოს, სერიოზულიც. რასაკვირველია, იმ ანგარიშით, რომ წლეულს დინამოელებს მეტს მოსთხოვენ, ვიდრე შარშან, და უფრო მეტს, ვიდრე შარშანწინ (ეს ბუნებრივიც არის და ნურც ნურავის გაუკვირდება – უძლურისა და უპერსპექტივოს მიმართ პრეტენზიებიც არავის უჩნდება).

ბაქოელებმა მხოლოდ ერთ ფეხბურთელს – შიხლაროვს დაუტოვეს წმინდა ფორვარდის ფუნქციები. თუმცაღა იერიშებში საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ ალიზადე და ყურბანოვიც. ისე კი, მინდვრის შაუგულში ოთხზე ნაკლები ფეხბურთელი “ნეფთჩის” ერთხელაც არ ჰყოლია. ცენტრში წყვილად მოქმედებდნენ რახმანოვი (8) და ორუჯევი (9). ეს უკანასკნელი ფაქტიურად ყიფიანის ნეიტრალიზებას უნდებოდა.

იმის პირველი ნიშანი, რომ სტუმრები შეშინებულნი და წინასწარ განწირულები არ გამოსულან მინდორზე, ბაქოელთა მარჯვენა მცველის ერთობ გაბედული რეიდები იყო. ყულიევი მაშინღა “ჩაცხრა”, როცა გუცაევმა მის ფლანგზე გადაინაცვლა. მაგრამ ეს მხოლოდ ნიშანი იყო. მერე კი ორთაბრძოლა მასპინძელთათვის საკმაოდ არასასიამოვნო ხასიათისა გახდა. ერთხანს 26 წუთზე “ნეფთჩის” კარში გატანილმა გოლმა (მცველებმა საჯარიმოში წააქციეს შენგელია – პენალტი) თითქოსდა გაამძაფრა თამაში, მაგრამ მხოლოდ ერთხანს.

რამდენიმე თვალშისაცემი მომენტი განვლილი მატჩიდან:

თბილისელებმა ვერ მოახერხეს მეტოქის მცველთა მინდვრის მთელ…….

“ლელო”, 20 მაისი, 1978 წ.

გაგრძელება არ არის!!!!!!!!!